ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4802699

ნომერი: AR1723967

თარიღი : 11.12.2019

გაცემის თარიღი : 24.12.2019

გაცნობის თარიღი : 24.12.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, შორაპნის ქუჩა, N 34;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ხვითარია პ/ნ 01024020824
- k. kapanelis 5 b 41

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 11 დეკემბერს NAR1723967 განცხადებით მომართა ნინო ხვითარიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ისანი, შორაპნის ქ. №34-ში, (ნაკვ.26/47) ქ. თბილისში, შორაპნის ქ. №34-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.17.13.026.102), დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2016 წლის 08 დეკემბრის №2949926, 2017 წლის 12 ივნისის №3316687, 2017 წლის 13 სექტემბრის №3520089 და 2019 წლის 10 მაისის №4494410 ბრძანებებით გასწორდა ტექნიკური შეცდომები სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და დაფიქსირდა: სარდაფის ფართობი 214.48 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 159.28. საცხოვრებელი ფართობი: 1174.61 კვ.მ, საერთო ფართობი: 1702.33 კვ.მ.
განმცხადებლების განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და ითხოვს საცხოვრებელ ფართობად 1174.61 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
სამსახურის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის 2019 წლის 10 მაისის №4494410 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის №2829666 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საცხოვრებელი ფართობი: 1174.61 კვ.მ, საერთო ფართობი: 1702.33 კვ.მ შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია სამსახურის 2019 წლის 10 მაისის №4494410 ბრძანებით. აქედან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია განცხადების დაკმაყოფილებისა და უკვე დაფიქსირებული მაჩვენებლების ხელმეორედ დაფიქსირების შესაძლებლობას.
სამსახურის 2019 წლის 10 მაისის №4494410 ბრძანებას გიგზავნით დანართის სახით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.